

სტუ-ს საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის

პროფ. პაატა კერვალიშვილის ლექციების ციკლი დასავლეთ ატიკის უნივერსიტეტში

24-28 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორმა პაატა კერვალიშვილმა, Erasmus+ გაცლითი პროექტის ფარგლებში, ლექციების ციკლი ჩაატარა პროექტის კოორდინატორ საბერძნეთის დასავლეთ ატიკის უნივერსიტეტში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აქტიურ მონაწილეობას იღებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ Erasmus+ პროგრამაში. პროგრამის ფარგლებში მას აქვს დადებული ხელშეკრულება საბერძნეთის დასავლეთ ატიკის უნივერსიტეტთან (UNIWA), რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს.

ქართველმა პროფესორმა ლექციები წაუკითხა უნივერსიტეტის სამივე დონის ბერძენ სტუდენტებს (ბაკალავრები, მაგისტრები, დოქტორანტები), უცხოელ სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს (აშშ-ს, ჩეხეთის, უკრაინისა და სხვა უნივერსიტეტების წარგზავნილებს) და ბერძენ კოლეგებს უნივერსიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტიდან.

ლექციები ძირითადად ემდგნებოდა ქვანტურ-ინფორმაციულ მეთოდებსა და სისტემებს, ასევე, მათი გამოყენების მიმართულებებს.

მოხდა შეთანხმება ევროპის ერაზმუს პროგრამის ფარგლებში ახალი ერთობლივი პროექტის დაწყების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს იტალიელი, ბერძენი და ქართველი მკვლევრების მიერ ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშის (მათ შორის, არტეფაქტების) აღდგენისა და დაფიქსირების ფიზიკური მეთოდების შემდგომ განვითარებასა და დანერგვას.



სურ. 1. იუნივას ერაზმუსის ოფისში



სურ.2 ლექცია იუნივას უცხოელი მაგისტრანტებისათვის



სურ.3 პროფ. პ. კერვალიშვილის სემინარი
მონაწილენი ქვანტურ ინფორმატიკაში



სურ. 4. გაერთიანებული ლექციის დროს



სურ. 5 . ბერძენ კოლეგებთან



სურ. 6. უნივერსიტეტის ყოფილ პრეზიდენტთან
პროფ. პანაიოტის კიკილიასთან ერთად